2-3607/20
28-02-2020

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი
ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის
თავმჯდომარეს ბატონ რომან კაკულიას

ბატონო რომან,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს პარლამენტის წევრების: მამუკა მდინარაძის, ანრი ოხანაშვილის, დიმიტრი ცქიტიშვილის, გიორგი ვოლსკის, შოთა ხაბარელის, ბექა ოდიშარიას, ლევან კობიაშვილის, სოფიო კილაძის, მარიამ ჯაშის და მიხეილ ყაველაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია შემდეგი კანონპროექტები: „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში” ცვლილების შეტანის შესახებ“ და „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-3/376/9; 19.06.2019).

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით კანონპროექტებზე წამყვან კომიტეტად განსაზღვრულია დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი, ხოლო სავალდებულო კომიტეტებად - იურიდიულ საკითხთა კომიტეტი და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი (განხილვის ვადა - 04.03.2020).

კანონპროექტებზე კონსულტაციების გასამართად და პოზიციების შეჯერების მიზნით, გთხოვთ, მიმართოთ პარლამენტის ბიუროს სავალდებულო კომიტეტისთვის განსაზღვრული განხილვის ვადის 3 თვით გაგრძელების თაობაზე.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი